თბილისის „დინამო“ დანიაში

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს დანიაში. გუნდი გამოდიოდა ქ. ვაილეში ადგილობრივი გუნდის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ვაილე დანიის ფეხბურთის სამშობლოდ ითვლება და აქაური გუნდი თავისი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში სადღეისოდ მე–6 ადგილზე იმყოფება.

თბილისელებმა მატჩი ჩაატარეს შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, ილიადი, პეტრიაშვილი, მეტრეველი, კალოევი, იამანიძე (მაისურაძე), დათუნაშვილი. გუნდმა შეტევით დაიწყო თამაში და მე–13 წუთზე კომბინაცია – იამანიძე–კალოევი დამთავრდა გოლით მასპინძელთა კარში – 1:0. მცირე ხანს შემდეგ მეტრეველი სწრაფად გავიდა მარჯვენა ფლანგზე და ჩააწოდა ბურთი კარის წინ, სადაც იგი მიიღო იამანიძემ – 2:0.

ტაიმის დასასრულს დინამოელებმა შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა.

მეორე ნახევარში დაძაბულ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. თბილისის „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ბოლო მატჩი თბილისის „დინამოს“ აქვს ქ. ესბურგში. აქაური გუნდი დანიის ჩემპიონატის ლიდერია და მის შემადგენლობაში თამაშობს ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების რამდენიმე წევრი.

10 აგვისტო.
1963 წ.